# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოთხშაბათი, 30 დეკემბერი 1909 წ. № 290

...ს ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ...თ ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ...ან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხა... სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., ...მგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირ... ...ითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ...მდეგ მეტი ეღირება.

...იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულება... ...ც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი ...განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ...ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადე... ...ჯ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. ...ს განყოფილებებში: პეტერბურგში მორ... ...ვაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... თი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, ... თავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ნება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

წელიწადი მესამე — დროება — წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა.

უოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის პირობები:

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, редакція „ДРОЭБА“, И. С. Агладзе.

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის


4 იანვარს ქ. თელავის პატარა ეკკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

## დარია იაგორის ასულის პაატაშვილის

სულის მოსახსენებლად. ამას აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე მიხეილ იოსების ძე პაატაშვილი და მისი საყვარელი შვილები: ალექსანდრე, ესტატე, თამარ, ანიკო და გიგლო (ფ. 1—1)


## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანხვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ბ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
ხოზოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
თიკანაძე ი. ე. დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. სატფასურით. (100—ნ.—73)



13 დეკემბრიდან ტფილისში გამოდის ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

## სხივი

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი), ლექსები, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ: აზიანი, ანოსპირელი, გელა, იასამანი, ირეთელი ლალიონი, ლეო, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, ნიკოლაიშვილი, რაჟდენიძე, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუმაველი, ტუქხიშვილი და სხვანი. პირველ ნომრიდან იბეჭდება ივ. გომართელის კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე.

ჟურნალი ღირს: ერთი წლით—5 მ., ნახევარი წლით—2 მ. 50 კ., ერთი თვით—50 კ. ცალკე ნომერი—10 კაპ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და იანვრის გასვლამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს, პრემიად მიეცემა

სტეპნიაკის მოთხ. „სახლი ვოლგის ნაპირზე“.

წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგდება ხელის მომწერლებს. ამასთანავე დეკემბრის ნომრებიც უფასოდ გაეგზავნება. ჟურნალის გამოწერა შეიძლება ტფილისში: გაზ. „მომავალი“-ს რედაქციაში: ვ. კალანდაძესთან; წიგნის მაღაზია «ალიონში» ვ. ბადილიასთან, კიროჩნი ქუჩა N 9; სტამბა „პეჩატნოე დელო“-ში, ველიამინოვის ქუჩა N 6 პ. კალანძესთან, და „გუტენბერგის“ სტამბაში ოლგისა და სლეპცოვის ქუჩის შესაყარში N 1, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ქალაქ გარედ:

ქუთაისში: წიგნის მაღ. «იმერეთში», ის. კვიცარიძესთან; სამტრედიაში რკ. გზის მ. ყ. კოპალეიშვილთან; ბათუმში—რკ. გზის შკაფში გ. მაზარაძესთან; ჭიათურაში—მასწ. ვ. ზუროძესთან; ჩოხატაურში—წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში—წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; ზიდისთავში—მასწ. ე. ლომთათიძესთან; სადგურ აჯიქაბულში—ვ. ყიფიანთან და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ типографія „Печатное Дѣло“, Вельяминовская N 6. Поліевкту Антоновичу Каландадзе. (5—2)



წარმოდგენა № 23. ქართუ... წარმოდგენა № 23.

ხუთშაბათს, 31 დეკემბერს, 1909 ... საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ნ. კ... ...ობით ცნობილი ის... ტორიული პი... ...სა.

## ლა... ...ი

5 მოქმედებად ... მონაწილეობას ... ...სი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ... საღამოს 8 საათზედ.

მზადდება სადღესასწაულო წ... ...ისთვის.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი. ... თანაშემწე ვ. ურუშაძე. ...ის ადმინისტრაცია.

## ძმ. ზუბალაშვილე... სახლი

ხუთშაბათს, ...

სახალხო სახლთან არსებულ ქართუ... ...ველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ კ. ნ. შათირიშვილის ... წარმოდგენილი იქნება:

„გაცრუებ... ...ი“

კომედია 2 მოქ...

„პარიზელ...

პიესა 2 მოქმედ. ...სა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებ... ...ეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამ...

ადგილების ფასი ერთი შა... ...ურამდე.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გა... ...რა საღამოს, 10 იანვარს.

რეჟის. კ. შათირიშვილი. ადმინ... ლ. ვახვახიშვილი.



დაიბეჭდა და 1 იანვარს დაურიგდება ხე... ...ერლებს სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერა... ...ჟურნალი

## „განათლება“

იანვრის ნომერი შემდეგის შინაარსით: 1. რედაქციისაგან; 2. „სწავლა მლოცის“, ვაჟა-ფშაველასი; 3. დიმარი—«ბავშვის პირველი ...ებები»; 4. „ზღვა“, ლექსი აკაკისა; 5. „ჩემი პირველი აფელავება“, მოთხრობა მარ. ხელიგასა; 6. „ხუმა და ღმერთები“, სპარსული ლეგენდა ბაჩანასი: 7. «პედაგოგიის ისტორია», ვეიმერისა (გერმანულიდან), ნ. ლორთქიფანიძისა; 8. „სანიმუშო პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის“: 9. ლ. ტოლსტოი—«რელიგიოზური აღზრდის გამო» (წერილი ამერიკელთან); 10. „შინაური მიმოხილვა“, ვარისა; 11. „ცნობები საყოველთაო სწავლების შესახებ ტფილისის გუბერნიაში“ 12. „ერობის მოღვაწეობა რუსეთში“; 13. „სახალხო განათლება მოწყობა და მართვა-გამგეობა ეჩხოეთში“; 14. «დაავშვების საზოგადოება ამერიკაში»; 15. „სკოლის მოღვაწეებთან“; 16. „მეცნიერება და აღზრდა“, (პირველი წერილი) ექ. ვ. დ—... 17. წერილები დაბა ხოფლებიდან; 18. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 19. სამეცნიერო მიმოხილვა; 20. განცხადებები.

ჟურნალი წლიურად ღირს სამი მან., ნახევარი წლით ორი მან. სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად ორ მანეთად.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში- წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში.

ადრესი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ.
(3—1) რედაქტორ-გამომცემელი ლ. ნ. ბოცვაძე.



## გლეხი-კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორიაზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან ივ. მაჭავარიანის მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ ერთი მანეთი.

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით, (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების“ და „მომავლის“ ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Галилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე ვასილ გადილია.

(20—17)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან უოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისა ერს 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—235)



## ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქესობ. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შემდეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. შესახ., მონუმენტის შეს. N 5, ს. მაფრანოვისა, ზუფ. გვერდზე. (100—ზალ.—83)

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა, ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—1364)

## ექიმი კაკიტელაშვილი

ქუთაისში.

იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: პუშკინის ქ., ს. წერეთლისა, ვიტუშინსკის აფთიაქის მეზობლად. იღებიან ბავშ., შინაგ. ქალ. ავადმყ. (25—ნ.—14)



## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაგმთება, კბილის ჩასმა და პროტეზები, აბდ... რონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—331)

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

## ექიმი ვასილ წერეთელი

ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—82)

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—ვვ.—137)

## ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიეისა ბერლინში, სპეციალურად: საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ღუთხე). (100—ზალ.—97)

## ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—23)

სპეციალისტი ექიმი ქუთაისში

## ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის მეხაზვეი, იესელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფ.—5

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს. თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.
ავადმყოფთა მიღება:

მ. ალაჯანოვი—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
ნ. ათენიანცი—ყურ., ცხვირ. და ყელ 1—2 ს.
ვ. ვნუკოვი—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
ი. ეგიაზაროვი—ნერ. და შინ. 11—12 ს.
მ. კიმონტი—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
მ. მაგაკიანი—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
ლ. მონინა—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
მ. კალმიკოვა-ვნუკოვა—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერიოლ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება სახელ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—93)

ქუთაისში

კბილის ექიმის დ. ს. რიჟინაშვილის კაბინეტთან გაიხსნა

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრ. დ. ნიზრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. ვიტუშინსკის აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—71)

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

## ახალი კლუბის

საბჭო ამით აუწყებს ბ-ნთ წევრებს და აგრეთვე კლუბის წევრებად ჩაწერის მსურველებს, რომ საწევრო ფულის მიღება და ახალის წევრების ჩაწერა სწარმოებს, კლუბის კანცელარიის დროებით სადგომში (სათავად-აზნაურო ქარვასლა, სასახლის ქუჩა) ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში 30 დეკემბრიდან 1910 წ. 10 იანვრამდე ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოთი 6-დან 8 ს.-მდე. (3—ნ.—1)

## ვეკისრულობ დაცვას

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სასამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის გასაყრელისათვის, ადმინისტრ., წოდებრივ; გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას საკრედ. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; გაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ საიჯარო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. მაქვს ოცი წლის გამოცდილება. მიიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (საძველ. სამხედრო ექიმების სამკურნალოსა), ბინა N 4. (წ.—ნ.—19)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სადგილ-მამულო, ტერიტორიის საკითხს უკანასკნელ ნომერში „საქართველოს მოამბეც“ ეხება. სხვათა შორის, ბ-ნი აზნაური სწერს:

როგორც შავი ყორნები მინდორში დაგდებულს ლეშს, ისე დასტრიალებენ ჩვენს ტერიტორიას უცხო ტომის ხალხნი, „ხოდოკები“, კომისიონერები“, აგენტები (ამ უკანასკნელთა შორის ბევრი ქართველი თავადია), დაძრწიან სოფელ-სოფელ, მემამულეთა ოჯახებში და სადაც კი დაინახავენ ისეთ ველსა და მინდორს, სადაც ქართველი გლეხის ქოხი არა სდგას ზედ, ხოლო მარტო ხნავს და სთესს და თავისი წლიური სარჩო მოაქვს, დაადებენ ზედ ფეხს და მივლენ გაჭირვებულ მემამულესთან: მამული უნდა მოგვყიდო, თუ ფული ბლომად გინდაო. და ჩვენებურ მემამულეს, ოღონდ კი მამულის გაყიდვა გაახსენე, ჩოხას არც კი ჩაიცვამს, ისე გაიქცევა ან „переселенческій пунктъ“-ში ან კიდევ ნოტარიუსთან. რაღაც ციებცხელება დაემართათ როგორც მყიდველებს, ისე გამყიდველებს—ქართველ გამყიდველებს და უცხო ტომის მყიდველებს. დღე არ გავა, რომ ათასობით დესეტინა მიწა არ გაიყიდოს, დღე არ გავა, რომ ახალი და ახალი „ხოდოკები“ არ გაჩნდნენ ტფილისში. დღე არ არ გავა ისე, რომ გაყიდვის პირობა არ იწერებოდეს, და როგორ გგონიათ, რამდენი დღე საჭირო, რომ ქართველი ერის „თავისუფალი“ მიწები სრულიად გაიყიდოს? მგონი, რომ ორი კვირაა საკმარისი და ასეც მოხდა კახეთში და ბორჩალოს მაზრაში. მთელი ივრის ხეობა, სადაც ქართველი გლეხი ხნავდა და სთესავდა, სადაც თავის საქონელს ბალახს აძოვებდა, მთლად გადავიდა უცხო ტომის ხალხის ხელში. ქართველს გლეხს დარჩა მხოლოდ ფერდობი, ტყე და ღრე, სადაც ის მოსახლეობს და სადაც მას აქვს პატარა ბახჩა სახლის წინ და რომელიც ამიერიდან შეადგენს მის ვენახსაც, ბოსტანსაც, ს ხნავსაც და სათიბსაც.

ხალხიც და ჩვენც ვტიროთ მაშინ, როდესაც რომელიმე სოფელს დროებით ეკზეკუციას ჩაუყენებენ ხოლმე, დღეს კი ჩვენს სოფლებს მუდმივს ეკზეკუციას უყენებენ, მიწა-წყალს ართმევენ, სულს უხუთავენ, სიცოცხლის ნებას მხოლოდ ათი ოცი წლით აძლევენ და ჩვენ ვკომისიონერობთ, ვდალალობთ, ერთ-ორ კომლს გლეხს ვეხმარებით ერთი-ორი მემამულესაგან იყიდოს ერთი-ორი დღიური მიწა და ნუ დაგვიწყდებათ, რომ იმავე დროს ვეხმარებით ადგილობრივ მკვიდრთ—უცხო ტომის ხალხსაც, რადგან თავად-აზნაურულ კომისიის პროგრამაში ეს მუხლიც შედის.

ხელიდან წავიდა და მიდის ალაზნის ხეობა, ივრის ხეობა, მთელი ბორჩალოს მაზრა, გორის მაზრის საუკეთესო ადგილები, „ტილიფონა“, დუშეთის მაზრის საუკეთესო ველ-მინდორი, შავი ზღვის ნაპირებზე სასიქმელიც აღარაფერი გვაქვს და ის ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც ნივთიერად უძლურია, სტირის, მხოლოდ სტირის, თავად-აზნაურობა კი, რომელსაც საშვალება აქვს ცოტაოდნად მაინც დახმარება გაუწიოს ამ საქმეს, იმავე დღეს, რა დღესაც ჩვენი მიწები სხვის ხელში გადადის და ჩვენ გლეხობას ყელი ეჭრება, იმავ დღეს 50,000 მანეთს აძლევს „კახეთის“ საზოგადოებას, 3000 მანეთს აძლევს დეპუტაციას პეტერბ. წა-

სასვლელ-დ, 1,000 მანათით დახმარებას უწევს ერთ-ერთ რუსულ გაზეთს და და 1,500 მანათს უდებს ჯიბეში **ქალბაქის მოურავს** თავის მოსარჩენად.

ასეთია საქმის ვითარება დღეს ჩვენში, და ამ დროს რას შვრება დეპუტატთა საკრებულოსთან არსებული სადგილ-მამულო კომისია, რომლის დამაარსებლებმაც ყურები გამოგვიჭედეს, ეროვნულ საქმეს ვაკეთებთო? აი, იმავე ბ ნ აზნაურის სიტყვით, რა „საქმეებს" აკეთებს ეს კომისია:

ამას წინად ივრის ხეობაზე თავ. ლ. ანდრონიკაშვილმა, თავის მოძმეების თანხმობით, მიჰყიდა რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებს 1,800 დესეტინა მინდორი. მორიგებულნი იყვნენ დესეტინაში ათ თუმნად. გლეხებმა მისცეს თ. ანდრონიკაშვილებს ბედ ორასი თუმანი და პირობის ძალით მოვალენი გახდნენ 60,000 მანათი ჩაებარებინათ 15 გიორგობისთვის. ეს ვადა გავიდა და გლეხებმა თავიანთი პირობა ვერ შეასრულეს და ამითი პირობა დაირღვა. ამიერიდან თავ. ანდრონიკაშვილებს შეეძლოთ ეს მამული ვისთვისაც უნდა, იმისთვის მიეყიდნათ. ახლა, მოისმინეთ კარგად, რა ხდება? თავ. ლ. ანდრონიკაშვილი მიდის სადგილ-მამულო კომისიაში და ეუბნება: მყიდველები, რომლებსაც მე გავურიგდი, დღეს რომ მოვიდნენ კიდევაც ჩემთან, აღარ მივყიდი, რადგან ამისი უფლება მაქვს. მამული კი უნდა გავყიდო, რადგან თუ არ გავყიდე, ან ბანკი გამიყიდის, ან ჩარჩი-ვაჭარი. აიღეთ ეს ჩვენი მამული, იყიდეთ თქვენ და შემდეგ მიჰყიდეთ იმას, ვისაც გინდათ. ფული არა გაქვთ? ეკითხება თავ. ანდრონიკაშვილი, ფული არ გინდათ. ამ მამულს ჩვენ დავიმტკიცებთ, რანაირი წესითაც გინდათ. თქვენი საკუთრება რომ გახდება, აიღეთ და დააგირავეთ ბანკში, რაც ფული აიღოთ, მოგვეცით ჩვენ მონაწილეებს, ხოლო დანარჩენი ფული მოგვეცით წვრილ-წვრილად ხუთი, ათი, ოცი წლის განმავლობაში.

ამაზე უკეთესი პირობები, ამაზე მეტი შეღავათი, მგონი, რომ შეუძლებელია! 1,800 დესეტინას, უკვე გაყიდულს, კომისია საკუთრებად იძენს **უფულოდ**, თუ არ ჩავთვლით ას-ორას თუმანს წვრილმან ხარჯს, და, როგორ გგონია, მკითხველო, კომისია უარ-ჰყოფს ანდრონიკაშვილს პირობებს: მაგას ბევრი დავი-დარაბა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლიანო (sic!)

აი მეორე მაგალითიც, მხოლოდ ამ უკანასკნელს სულ სხვა ელფერი აქვს. ამ დღეებში თავ. ნ. ბარათაშვილი მივიდა ამ კომისიაში და მოახსენა: ბორჩალოს მაზრაში 1,300 დესეტინა მამული მაქვს, მიშოვნეთ მყიდველი ქართველები, თორემ ბერძნები მევაჭრებიან და იძულებული ვიქნები იმათ მივყიდოო. კომისიამ განიხილა ეს წინადადება და დაადგინა: რადგანაც ჩვენ ამ ჟამად საშუალება არა გვაქვს ქართველები დავასახლოთ, ნება მიეცეს თავ. ბარათაშვილს მამული ბერძნებს მიჰყიდოსო.

ნება დართეს!!! იქნებ ვინმემ უპოვნოს ამგვარ დადგენილებას შესაწყნარებელი მიზეზები, მე კი კალამი ხელიდან მივარდება და ჩემი გონება წინ ვეღარ მიდის.

ნება დართეს!! რა უფლებით?

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 დეკემბერი.

### საზღვარ-გარეთ

**თეირანი.** სპარსეთის ელჩად რუსეთში დაინიშნა ურმიის გუბერნატორი მუხტეშამუს-სალტანე.

**სტამბოლი.** ახლად დანიშნულმა დიდმა ვეზირმა ხაკი-ბეიმ და გადამდგარ სამინისტროს წევრებმა ნაშუადღევამდე ითათბირეს. გამოირკვა, რომ წინანდელ სამინისტროდან ახალ სამინისტროში შევლენ ფინანსთა მინისტრი ჯავიდი და შინაგან საქმეთა—თალიაათ-ბეი. სამხედრო მინისტრის პორტფელი შეაძლიეს გენერალისიმუს მაჰმუდ-შევკეთ-ფაშას. ხაკი-ბეი გარეშე საქმეთა მინისტრობას კისრულობს.

**სტამბოლი.** ახალ სამინისტროში ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების გარდა დარჩებიან: გზათა მინისტრი—ხალაჯიანი, იუსტიციის — მუჯიმედდინი და გარეშე საქმეთა—რიფაატი. იმ შემთხვევაში თუ გენერალისიმუსმა შევკეთ-ფაშამ უარი განაცხადა სამხედრო მინისტრობაზედ, მაშინ სამხედრო მინისტრად დანიშნავენ სარ-ფაშას. ამბობენ, რომ შევკეთ-ფაშა სამხედრო მინისტრობაზედ დასთანხმდაო. ჯერ ჯერობით არ იციან ვის დანიშნავენ საეკლესიო მამულების. საერო განათლების და საზღვაო მინისტრებად.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** გაიხსნა სრულიად რუსეთის კრება, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ლოთობასთან საბრძოლველი ზომები. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს კოვალევსკი. პირველად სიტყვა წარმოსთქვა პროფესორმა ნიჟეგოროდცევმა, შინგარიოვმა და ეპისკოპოსმა მიტროფანმა. კრებამ აუარებელი მისალოცი დეპეშა მიიღო. კრებას დაესწრნენ უცხო სახელმწიფოების წარმომადგენელნიც.

**ვილნო.** გაიხსნა კრება ებრაელ ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლების წარმომადგენლების. კრებას დაესწრო 120 დელეგატი.

**ვლადივოსტოკი.** უკანასკნელ დროს დიდი ნამქერებია. ამის გამო რკინის გზებზედ მატარებლები რამდენიმე საათით იგვიანებენ. ამ დღეებში ლიანდაგიდან გადავარდა ორი მატარებელი, საქონლისა და მგზავრო. დაიმტვრა ორი ორთქმავალი და რამდენიმე ვაგონი. შავდა რამდენიმე მოსამსახური.

**ხოლმი.** ეპისკოპოს ევლოგის თავმჯდომარეობით დაიწყო კრებები პოლონეთის რუს მოღვაწეების. კრებაში მონაწილეობას იღებს 100 კაცი, მათ შორის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვლადიმ. ლვოვი. კრებას პატრიოტულ ორგანიზაციებიდან აუარებელი მისალოცი დეპეშა მოუვიდა.

**პეტროვსკი** (დაღესტნის ოლქ.). ორი დღეა თოვს. ქალაქში სამ არშინამდე დასდო თოვლი. ზოგიერთი სახლები დაინგრა. მცხოვრებლების მიმოსვლა შეჩერებულია.

**ოდესსა.** დაიწვა ფეტრანის წისქვილი. ზარალი 300,000 მანეთს უდრის.

**გელსინგფორსი.** შრედერის ფირმამ აბოში გამოტყდა, რომ მისი საშუალებით 1909 წლის განმავლობაში ფინლიანდიაში შემოეტანათ აუარებელი იარაღი და პატრონა. შრედერის ფირმა იარაღს გასასყიდად აძლევდა აბოს თოფის მაღაზიებს.

**მოსკოვი.** თავად-აზნაურთა სახლში გაიხსნა სრულიად რუსეთის ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეთორმეტე კრება. კრებას დაესწრო 4,500 კაცი.

**ასტრახანი.** აკბალიკში შავი ჭირით ავად არის 2 კაცი.

**პეტერბურგი.** ვიატსკის გუბერნიაში გაძლიერებული წესები 1910 წლის 4 სექტემბრამდის კიდევ დარჩება.

**ურალსკი.** 20—26 დეკემბერს შავი ჭირით გარდაიცვალა 4, მორჩა 1, ავად არის 2 კაცი.

## ტერიტორიის საკითხის გამო

ყველა ქართულ გაზეთში იბეჭდება წერილები, ჩვენი ტერიტორიის დაკარგვის შესახებ. ამასთან ბევრნაირი სურვილი, დარიგება მოგვაწოდა ჩვენმა ინტელიგენციამ, მაგრამ ნათქვამი, საუბედუროდ, საქმედ ვერ იქცა. ბატონებო! გაზეთებში, მართალია, ყველაფერი უნდა დაიწეროს, მაგრამ მარტო წერა და ჩვენი აზრის გამოფენა არ კმარა და არც საქმეს უშველის. თუ ჩვენ ჩვენი თავის დაცვა გვსურს, საჭიროა მხნე პრაქტიკული მუშაობა ხალხში სოფლად. კარგად მოგეხსენებათ, ყველა ერსა სურს თავის ტერიტორიის შენარჩუნება და ამისთვის არავითარ საშუალებას არ ჰზოგავს. ჩვენც სხვის მაგალითებს მაინც უნდა მივბაძოთ, თუ ჩვენ თვითონ ვერა მოგვიფიქრებია რა.

შევუდგეთ პრაქტიკულად საქმეს. ამისათვის კი, თუ სხვა არაფერი მოხერხდება, ყველგან ქალაქში თუ პროვინციაში უნდა მოეწყოს დამხმარებელი კომიტეტები. ეს კომიტეტები ხელს შეუწყობენ ადგილების შეძენის მსურველ გლეხებს: შეჰკრებენ ცნობებს თავისუფალ ადგილების შესახებ, გაიგებენ, სად არიან მამულის შეძენის მსურველნი, გამართავენ გლეხებთან და მემამულეებთან მოლაპარაკებას და სხვა. ვიმეორებ, ეს პატარა საქმე მაინც უნდა გავაკეთოთ. რასაკვირველია, ყველას ბანკის დაარსება სჯობია და თუ მოვახერხებთ, ამასაც შევეცადოთ.

მამულის შეძენის მსურველი უთვალავია. აიღეთ თუნდა გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, ქართლი. ყველგან ადგილს ითხოვენ და ეძებენ. საჭიროა გზის მაჩვენებელი. გარწმუნებთ, გლეხმა თუ ადგილი იშოვნა, შეიძენს კიდეც, ტერიტორიასაც შეინარჩუნებს.

ზოგნი ეხლა საყვედურების მეტს არას აკეთებენ. უსაყვედურებენ მემამულე პარტიებს და სხვებს. ასეთის საყვედურით არა გაკეთდება-რა და პარტიები არც დამნაშავენი არიან. ეს საქმე პარტიებისა კი არა, მთელი ერის საქმეა. გულ-წრფელი მოამაგე ამისთანა დროს საყვედურებს და ჟინიანობას კი არ დაიწყებს, არამედ გამოვა სამოქმედო ასპარეზზე და პირდაპირ საქმეს მოჰკიდებს ხელს.

ამ რიგად ყველაფერს თავი უნდა გავანებოთ და საქმეს მოვკიდოთ ხელი, თორემ ლაპარაკში მთელი ჩვენი ტერიტორია სხვას ხელში გადავა და მერე ცარიელზე დავდგებით.

ი. კაკაბაძე.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

**35 წლის ღნიშვნა.** 1910 წლის 1 იანვარს სრულდება 35 წელიწადი, რაც ტფ. ქალაქის თვითმართველობა არსებობს. გამგეობას თავის უკანასკნელ სხდომაზე თათბირი ჰქონდა იმაზე, თუ რით აღინიშნოს ეს გარემოება. გამგეობამ დაადგინა, 1910 წლის 1 იანვარს გაიმართოს საბჭოს სხდომა და წინადადება მიეცეს მას: 1. აპატიოს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ დარჩენილი დასაფასებელი, სატრაქტირო და სხვა გადასახადები, სულ 20,000 მანეთამდე; 2. საბჭოს დარბაზში ჩამოკიდოს სურათები ტფ. ქალაქის თავებისა, როგორც ეს ადესისა, მოსკოვისა და სხვა დიდ ქალაქებშია; 3. გამოიცეს ისტორიული კრებული ქალაქის თვით მმართველობის 35 წლის ცხოვრებისა. ისტორიულ მიმოხილვაში დაწვრილებით უნდა აღინიშნოს ქალაქის ეხლანდელი მდგომარეობა და ქალაქის სამეურნეო ნაწილის თანდათანობითი ზრდა და განვითარება; 4. დაარსდეს მუზეუმი ქალაქის მეურნეობის ყველა დარგის ნაწარმოებთა და მუზეუმი მოთავსებულ იქნეს ქალაქის რომელსამე დაწესებულების სადგომში. თუ ვინიცობაა საბჭომ მოინდომა მუზეუმისათვის საკუთარ შენობის აგება, შენობის აგების დროს სახეში იქნას მიღებული ყოფილ ქალაქის თავის მატინოვის მიერ ნაანდერძევი ფული და 5. საბჭოს ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ტფ. საბჭოში 35 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ხმოსნობს ილ. თომ. ფრიდონოვი.

**ჩამოხრჩობა.** 29 დეკემბერს, დილის 5 საათზე, ტფ. საგუბერნიო საპატიმროს ხრამში სისრულეში მოიყვანეს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი კავკასიის რკინის გზის ბატალიონის ჯარისკაცს ივანე თოფჩიევს, [illegible] დებოდა, იმავე ბატალიონის მეთაურ პორჩიკ ლილისის მოკვლა.

**დაჯარიმება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ხუთას-ხუთასი მანეთით დაუჯარიმებიათ რუსული გაზეთი „ზაკავკაზიე" და ქართული „საქართველოს მოამბე". დაუჯარიმებიათ მეორე რუსული გაზეთიც „ნოვაია რეჩ" პეტერბურგის გაზეთის „რეჩი"-დან წერილის გადმობეჭდვისთვის.

**დიდი თოვლი.** თბილ და მზიან ამინდების შემდეგ, 25—26 დეკემბერს მთელ დასავლეთ საქართველოში და ბევრგან ქართლში დიდი თოვლი მოსულა. ქუთაისში, მაგალითად, 25 დეკემბერს თოვლი არ შეწყვეტილა. ქუჩები სულ გამსებულა. უჭირდათ თურმე ფეხით გავლა-კი. სოფლებთან მიმოსვლა შეწყვეტილა. 28 დეკემბერს კიდევ მოდიოდა თურმე თოვლი. ასეთი დიდი თოვლი ქუთაისში კარგა ხანია არ ახსოვთ. ბათუმისკენაც დიდი თოვლი მოსულა. 27 დეკემბერს ბათუმიდან გამოსულმა საფოსტო მატარებელმა ძლივს მოაღწია ტფილისამდე. ნატანებიდან მატარებლის წინ მუშები გზასა სწმენდნენ. დიდი თოვლი მოსულა აგრეთვე ქართლში გორს ზემოდ.

**თავმჯდომარის დაჯარიმება.** ტფ. გუბერნატორმა 25 მანეთით დააჯარიმა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ი. რცხილაძე, რომელმაც დაარღვია თურმე სხდომების მოწვევის შესახებ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი. თუ ბ-ნი რცხილაძე ამ ფულს არ გადიხდის, იგი 7 დღით იქნება დაპატიმრებული. ამის გამო უნივერსიტეტის გამგეობას სხდომა ჰქონდა 28 დეკემბერს და, სახეში მიიღო-რა წესდება საზოგადოებისა, რომლის ძალითაც მოქმედებს გამგეობა, დაადგინა, გუბერნატორის გადაწყვეტილება ნამესტნიკთან გაასაჩივროს.

**თავ-დასხმა ბაქოში.** 26 დეკემბერს საღამოთი ბაქოში (ბალახანში) ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დასხმია ფრანჩაკის გასტრონომიულ მაღაზიას. გაუტაცნიათ ფუ-

# სად უნდა იშოვნოს გლეხმა მეურნეობაში საჭირო ფული? *)

**წერილი პირველი** **).

ვინ არ იცის, რომ ჩვენი სოფლის მეურნე დიდ გაჭირებას განიცდის. ყველაფერში უჭირს,—ფულის შოვნა გინდა, საქონლის გასაღება თუ საჭირო მასალის ყიდვა. ძველი, მამა-პაპური მეურნეობა აღარ ვარგობს, მიწა გამოიფიტა, საჭიროა მისი გასუქება, განოყიერება; საჭიროა სალი თესლი, ათასგვარი ახალი სამუშაო იარაღი. ყველა ამისათვის საჭიროა ფული. მოწეულ ჭირნახულს გაყიდვა უნდა კარგ ფასებში. მაგრამ ათასი მთხოვნელი ადგება სწორედ ამ დროს კარზე მეურნეს და ჩალის ფასად აყიდვინებს ადგილობრივ ჩარჩ-ვაჭარზე წლის ნაშრომ-ნადავლს. აქაც ხელცარიელი რჩება მეურნე. იმის ნაამაგარს სხვა ითვისებს. თუ გაუწყრა ღმერთი და ფული დასჭირდა, იძულებულია მიმართოს ადგილობრივ მევახშეს, რომელიც სარგებლობს მისი გაჭირვებით და თავნში სარგებლად თავის ტოლს ახდევინებს. თუმანში ათი შაური სარგებელი (თვეში, რასაკვირველია), ხომ ჩვეულებრივი ამბავია! მეურნეს უჭირს ფულის შოვნა. კიდევაც რომ იშოვოს ფული, ვალს თავს ველარ დააღწევს.

ასეთსავე გაჭირებაში იყვნენ უცხო ქვეყნის გლეხები. ისინიც იხრაკებოდნენ ჩვენს ტაფაში, მაგრამ ურთიერთის დახმარებით დააღწიეს გაჭირებას: მათ დაიარსეს საკრედიტო ამხანაგობანი, რომელთა წევრებს შეღავათიანის პირობებით მუდამ შეუძლიანთ ფულის შოვნა.

ფულიანი კაცი, ვიდრე ფულს გაასესხებდეს, ჯერ იმას გამოიძიებს, თუ რამდენად სანდო კაცია სესხის მთხოვნელი და აქვს რამე ქონება თუ არა, გამრჯელია თუ ლოთია და სხვა. ყველა ამის გაგება იმისთვის სჭირია, რომ იცოდეს დაუბრუნდება განასესხები თუ არა. რომელი ჭკუათა მყოფელი გაასესხებს ფულს, თუ დარწმუნებული არ არის, რომ განასესხები დაუბრუნდება! როცა მთხოვნელის ავანჩავანს, იმის გარემოებას გაიგებს, მევახშე ფულს აძლევს და, რაღა თქმა უნდა, სარგებელს ართმევს. რაც უფრო გაჭირებულია მთხოვნელი, მით უფრო მეტს სარგებელს ართმევს. როცა მთხოვნელს მოეძებნება ცოტა რამე ქონება და მევახშეს იმედიცა აქვს რომ განასესხებს დროზე ჩაითვლის, მაშინ სარგებელს ნაკლებს იღებს, რადგან ამისთანა კაცი ხელს ადვილად გაამართავს. მაშასადამე, გაჭირებულ სოფლის მეურნეს, შეუძლოს, გაუძნელდება ფულის შოვნა. მისი მცირედი ავლა-დიდება ვერ დაიხარბებს მევახშის გაუმაძღარ გულს. იმის მდგომარეობას აუარესებს კიდევ შემდეგი გარემოება: მარტოხელა შეუძლო მეურნეს ბედ-იღბალი ძალიან რყევაშია, მისი ნაშრომ-ნადავლის ბედი იმის ხელთ არ არის: გვალვა-სეტყვა, მტრის შურით აღსავსე გული, ქურდ-ბაცაცა და მრავალი სხვა ემუქრება იმის ისედაც საეჭვო კეთილ-დღეობას. ერთ-ერთმა ამ გარემოებამ რომ უმუხთლოს, მეურნე დაიღუპება, თუ მაშველი არავინ აღმოუჩნდა.

აი, სწორედ აქ არის საჭირო და აუცილებელი ამხანაგობა. ამხანაგობაში სხვა და სხვა შეძლების ხალხი იყრის თავს: ერთს ათი თუმნის შეძლება აქვს, მეორეს თხუტმეტისა, მესამეს ოცისა, მეოთხეს კი შეიძლება სამი თუმნის ავლადიდებაც ძლივს მოეპოვებოდეს. ამას არა უშავს, ოღონდ კი მუშაკი იყოს, პატიოსანი. ამისთანა ამხანაგობა ფულს რომ სესხულობს, ფულიან კაცს პირობას აძლევს, რომ ნასესხებ თანხაში ყველანი პასუხს აგებენ თავიანთის ქონებით, ე. ი. თუ ფული დროზე არ ჩააბარეს, ნება აქვთ ამხანაგობის წევრთა ქონება გაუყიდოს და ისე აიღოს განასესხები. ამხანაგობის წევრნი ნასესხებ ფულში, ან მთელის ქონებით აგებენ პასუხს (ამაზე იტყვიან „განუსაზღვრელი პასუხისგებაო") ან და მის რომელიმე ნაწილით—მეათედის, მეოთხედის ნახევრით (ამაზე იტყვიან „განსაზღვრული პასუხისმგებლობაო"). ფულიანი კაციც პასუხის გების და ამხანაგობის წევრთა ქონების მიხედვით ვარაუდობს და ფულს აძლევს.

ამისთანა ამხანაგობას დასავლეთ ევროპაში დიდი ხნობა აქვს მოპოებული. ყველა დიდის სიამოვნებით აძლევს საჭირო ფულს და მცირე სარგებელსაც ართმევს. ნასესხებ ფულს ამხანაგობა წევრებზე გაასესხებს მცირე სარგებლით. წევრმაც ვადაზე უნდა ჩააბაროს ამხანაგობას ვალი. თუ არ ჩააბარა, მაშინ დანარჩენ წევრებს ეკისრებათ მისი გადახდა. ამის ასაცილებლად ამხანაგობანი ძალიან ფრთხილობენ: წევრებათ მხოლოდ იმათ იღებენ, რომელთაც გამგეობა და წევრნი იცნობენ, ეს კი შესაძლებელია, როცა ამხანაგობა პატარაა, მონაწილეთა ერთი ან ორი ახლო-მახლო მდებარე სოფელი. მეზობლებმა ხომ მუდამ იციან ერთმანეთის ამბავი და ამხანაგობას ძვირად თუ მოუვა მარცხი. წევრებად არ იღებენ უხეირო სოფლის მეურნეს, რომელსაც გული არ უდევს თავის საქმეზე. ამისთანა ამხანაგობათა წყალობით დასავლეთ ევროპის გლეხებმა მევახშეთა კლანჭებსაც დააღწიეს თავი და მეურნეობაც წარმატებაში შეიყვანეს.

ჩვენშიაც არსებობენ ამისთანა ამხანაგობანი, მაგრამ ჯერ ჯერობით რიგიანად ფეხი ვერ აიდგეს. ამისთანა ამხანაგობებს ჰქვიან საკრედიტო ამხანაგობანი.

მთავრობამ ამისთანა ამხანაგობათა დაარსების გასაადვილებლად გამოსცა საგანგებო, ეგრედ წოდებული „სანიმუშო (სამაგალითო) წესდება საკრედიტო ამხანაგობისა". ამ წესდების თანახმად ამხანაგობის დაარსება ადვილია და მალეც სწარმოებს. წესდებაც რიგიანად არის შედგენილი, ისე რომ ახალის დაწერა შემუშავება, რაც ჩვენში ძალიან უყვართ, საჭირო არ არის. ოღონდ გული გულობდეს, თორემ ამ წესდებითაც შეიძლება დიდი სარგებლობის მოტანა ხალხისათვის.

### რა არის საკრედიტო ამხანაგობა?

საკრედიტო ამხანაგობის დასაარსებლად საჭიროა მხოლოდ თანხმობა არა ნაკლებ 20 კაცისა, რომელთაც აქვთ საკუთარი მეურნეობა-წარმოება ან ხელობა. არ არის საჭირო არც სოფლის ყრილობის დადგენილება, არც თუ მთელი სოფლის თანხმობა. ოღონდ-კი შეიგნოს საკრედიტო ამხანაგობის საჭიროება ამ ოცმა კაცმა (შეიძლება მსურველი 40—60—100 და მეტიც იყოს, ხოლო არა ნაკლებ ოცისა), სხვა არაფერია საჭირო. შეიძლება მსურველი იყოს კაცი ან ქალი, თავადი ან აზნაური ან გლეხი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება იყვნენ სხვა და სხვა ახლო-მახლო მდებარე სოფლისა, ამასაც არა უშავს-რა. თავი და თავი მათი ნებაყოფილობა და თანხმობაა საჭირო. რაკი ამხანაგობის დამაარსებელნი, დამფუძნებელნი ამხანაგობის დაარსებას გადასწყვეტენ, სესხულობენ ფულს (სახელმწიფო ბანკში, სოფლის საზოგადოებისაგან, ერობისაგან ან კერძო პირისაგან) და ამ ფულით იწყებენ მუშაობას: აძლევენ თავიანთ წევრთ სესხად ფულს, მცირე სარგებლით, იღებენ ამხანაგობაში ახალ წევრებს; თავიანთ თანხის გასადიდებლად იღებენ მსურველთაგან ანაბარს (вклады) თუ აქვთ ფული, კიდევ სესხულობენ და სხვა. არავითარ სავალდებულო გადასახადის შეტანა არა სჭირდება საკრედიტო ამხანაგობის წევრს. ამხანაგობის ყველა წევრნი—როგორც დამფუძნებელნი ისე ახლად ჩარიცხულნი,—ამ საზოგადო საქმის ბატონ-პატრონნი არიან. ყველანი პასუხს აგებენ ნასესხებ ფულში, და ამიტომ საქმეს ისე აწყობენ და მართავენ, როგორც უფრო უკეთესად და სარფიანად მიაჩნიათ.

ამხანაგობის საქმეების გასაძღოლად, საწარმოოდ წევრთა საზოგადო ყრილობა თავის წრიდან ირჩევს სამს ან ოთხს სანდო კაცს ამხანაგობის გამგეობის წევრებად; ხოლო გამგეობის მოქმედების მუდმივ თვალყურის სადევნებლად, მეთვალ-ყურეობისათვის, ანგარიშ-წარმოების გასასინჯავად ირჩევს კიდევ სამს ან ოთხს კაცს, რომელნიც შეადგენენ მეთვალყურე საბჭოს (სარევიზიო საბჭოს). ამხანაგობის წევრნი იკრიბებიან ამხანაგობის დაარსებისას, საჭირო საქმეების მოსაწეს-რიგებლად. შემდეგში კი უეჭველად წელიწადში ერთხელ უნდა მოიყარონ თავი გამგეობის მიერ წარდგენილ წლიურ ანგარიშის განხილვა-დასამტკიცებლად, ამხანაგობის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის დასამტკიცებლად, ახალ წევრების მისაღებად და სხვ. წევრთა საზოგადოება შეიძლება მოწვეულ იქმნას შუა წელსაც, თუ ამას გარემოება საჭიროებს, მაგალ., ახალ სესხის აღება.

### რა უნდა ახსოვდეთ დამფუძნებელ წევრთ საკრედიტო ამხანაგობის დაარსებისას?

ვისაც კი საკრედიტო ამხანაგობის წესდება დაინტერესებს და იგი განიზრახავს სოფლად მის დაარსებას, ვიდრე საქმეს მოჰკიდებდეს ხელს, საჭიროა ასწონ-დასწონოს, ვინ დაიზიაროს, ვინ დაიამხანაგოს ამ საქმეში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამხანაგობის ბედი დამფუძნებელ წევრთა ავ-კარგობაზეა დამოკიდებული: დამფუძნებელი წევრნი იწყებენ საქმეს, ისინი უყრიან საძირკველს მომავალ ამხანაგობასა; მათი წრიდან ირჩევენ ამხანაგობის პირველ გამგეობას და მეთვალყურე საბჭოს, მათზეა დამოკიდებული ამხა-

*) ვბეჭდავთ ამ წერილს საკრედიტო ამხანაგობათა შესახებ, რადგან ჩვენში ხშირად უკვე გაიღვიძა ამ ამხანაგობათა დაარსების სურვილმა. ამას გარდა, სოფლიდან ბევრნი გვთხოვენ ამ საქმის ახსნა-განმარტებას.

**) ზოგიერთი ადგილი ამ წერილისა შემოკლებული და გადაკეთებულია. რედაქ.

ლად 430 მანეთი და ნივთები 140 მანეთისა. პოლიციას შეუპყრია ხუთივე. „კავ.“ ს სიტყვით, ხუთივე სომეხი გამომდგარა.

✦ **მოხელის სამართალში მიცემა.** მიხაილოვში ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი თანამდებობიდან გადააყენეს და სამართალში მისცეს. მიზეზი სახელმწიფო ბეჭდის დაკარგვაა. კანტორის უფროსს ახალი უყიდნია და უფროსებისთვის-კი არ უცნობებია. ფიქრობენ, რომ ბეჭდის დაკარგვას კავშირი აქვს სურამიდან კარგა ბლომა ფულის ყალბად გაგზავნასთან.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** 28 დეკემბრის სხდომაზე ტფ. ქალაქის საბჭომ მიმდინარე საქმეთა გარდა, დაასრულა 1910 წლის შემოსავალ გასავლის აღრიცხვის ბალანსის განხილვა. ხარჯი საბჭომ შეამცირა თითქმის 40,000 მანეთამდე, მაინც მომავალ წელს ქალაქს მოელის 260,000 მან. დეფიციტი. ეს დეფიციტი, საბჭოს დადგენილებით უნდა დაიფაროს იმ ფულით, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებათაგან ეკუთვნის ქალაქს დარჩენილ დასაფასებელ და წყლის გადასახადებისა. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია გამგეობის მოხსენებამ აღრიცხვაში 5000 მანეთის დატოვების შესახებ ქალაქის თვით-მმართველობაში საკონტროლო შტატის დაარსების შესახებ. საბჭომ დასტოვა 5000 მან. აღრიცხვაში იმ პირობით, რომ საბჭოს კომისიების თავმჯდომარეთაგან შემდგარმა კომისიამ შეიმუშაოს მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეწყოს კონტროლის საქმე. საბჭომ აღრიცხვაში დასტოვა აგრეთვე 2400 მან. ქალაქის სასანიტარო ნაწილის გასაძლიერებლად. ქალაქის საქმეთა საკრებულომ, როგორც ვწერდით, დაამტკიცა ტფ. გუბერნატორის წინადადება საბჭოდან ხმოსნის ნ. ზ. ელიავას გამორიცხვის შესახებ. საბჭომ უარჰყო ქალაქის საქმეთა საკრებულოს დადგენილება და გადასწყვიტა საკრებულოს დადგენილება განასაჩივროს სენატში. დასასრულ, საბჭომ 1000 მან. გადასდო კავკასიის მცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოების დასახმარებლად.

✦ დიდ-გომარეთის საზოგადოებამ სასოფლო ყრილობაზე წ. კ. საზოგადოების დიდ გომარეთის სკოლის მზრუნველებად აირჩია ადგილობრივი მცხოვრები გლეხები: ნიკო თეთრაძე, ფიდა ჩაჩანიძე და გრიგოლი რთველაძე.

✦ 28 დეკემბერს სადამოთი ახალ კლუბის საბჭომ აირჩია ორი მცირე კომისია. ერთს კომისიას დაევალა საკლუბე სადგომის მოწყობა, საჭირო ავეჯეულობის და ნივთების შეძენა და „იუჯანე“-საგან ბინისა და ინვენტარის ჩაბარება, ხოლო მეორე კომისიას თავად-აზნაურთა დეპუტატია საკრებულოსა და დრამატიულ საზოგადოებასთან მოლაპარაკება-შეთანხმება სადგომის შესახებ და ხელშეკრულების შესრულება, კლუბის საბჭოს დადგენილებით, კლუბის წევრებს საწევრო ფულის დღეიდან შეუძლიათ წარადგინონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო სადამოთი 6-დან 8 საათამდე. აქვე შეუძლიათ მსურველთ ჩაეწერნენ კლუბის წევრებად. ვინც 10 იანვრამდე საწევრო ფულს არ შეიტანს, წევრად არ ჩაითვლება.

✦ 28 დეკემბერს ყუნთის ქუჩაზე გასქდა წყლის დიდი მილი და წყალმა ამოხეთქა ქუჩაში. მთელი ქუჩა წყლით აივსო და გაჰდა შეუძლებელი გახდა. მოიყვანეს ტეხნიკოსები და მილი შეაკეთეს.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა ბოქაულებს დაუგზავნა ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი ფაბრიკა-ქარხნებისა და სახელოსნოების დაარსების შესახებ და დაავალა, თვალყური ადევნონ, რომ ეს დაწესებულებანი ადგილ-ადგილას არ იქმნეს დაარსებულნი.

✦ გუდოვიჩის ქუჩაზე მირზოევის ბინაზე ქურდს განუზრახავს პალტოს მოპარვა. უცნობი დააპატიმრეს. მან განაცხადა ოსმალეთის ქვეშევრდომი ვარ, მიკირტიჩ სარიჩევი. გამოძიების შემდეგ სარიჩევი აღმოჩნდა ახალციხის მცხოვრები არუთინ აზნაუროვი, რომელსაც 1907 წელს სასჯელი მოუხდია ოლქის სასამართლოს განაჩენის ძალით. შემდეგ იგი გადაუსახლებიათ კრასნოვოდსკში 4 წლით. იქიდან აზნაუროვი გამოქცეულა, დაუპატიმრებიათ და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ კრასნოვოდსკში გაუგზავნიათ, მაგრამ მეორედ გამქცეულა და ტფილისში ცხოვრობდა.

# მოწერილი ამბები

**ს. შაშიანი** (კახეთი). როგორც უვლდა ჩვენ სოფელს, შაშიანსაც, რომელსაც ამას წინად ვესტუმრე, ნაკლებად ეტყობა წარმატება. ეს კია დუქნები მომრავლებია და ამას გარდა სოფლის გზები შეუკეთებელია, ხვრილი-დაუვლელია და აქეთ-იქით არხები გაუყვანიათ. ბევრგან ვერ შეხვდებით ასეთ სუფთა და გატკეცილ გზებს. სამწუხაროდ, სოფელს სასმელი წყალი არა აქვს. თუმცა იქვე ახლო მთაში მშვენიერი წყაროებია, მაგრამ იმის გამოყვანას ფული უნდა.

დიდი ხანია შაშიანში სამრევლო სკოლა არსებობს. ერთ-ხანად სასულიერო უწყებამ წინადადება მისცა სოფელს, დაეხმარებოდა შენობის აგებაში, სამაგიეროდ ორ-კლასიან სკოლის დაარსებას, ჰპირდებოდა, მაგრამ სოფლელთ უარი განაცხადეს და აქამდე ვერ ეღირსნენ ორ-კლასიან სკოლას. წინად სკოლის საქმე კარგად იყო დაყენებული, მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობდა და სოფლელნიც ხელს უწყობდნენ. ამ ბოლო წლებში მეტად აირია სკოლის საქმე. მასწავლებლები თითქმის ყოველ წელს იცვლებოდნენ, უფრო კი ქალები. ზოგი მათგანი არჩიეობას უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ზოგს აღბად გული არ უდევბოდა და ბევრ დროს თელავში ატარებდა, ზოგი თავის მოადგილეს აყენებდა თურმე და სხვა. რასაკვირველია, ამისთანა პირობებში სკოლის წარმატებაზე ლაპარაკი მეტია და ძალიან არ გაგვიკვირდება, რომ სკოლის ერთ დიდ-ოთახიანი შენობა სამწუხარო მდგომარეობაში დამხვდა. ოდესღაც თეთრად გალესილი კედლები აქა-იქ ჩამოქცეულა, ფანჯრის მინები ზოგგან დამტვრეულა და ფიცრებით ამოუვსიათ, ადგილ-ადგილ აგურები ამოვარდნილა. ამისთანა მდგომარეობაში მასწავლებელი ქალიც დაღონებული დამხვდა. იგი მხოლოდ წელს დაუნიშნათ ამ სოფელში, მეტად მოწყენილად გრძნობდა თავს და გულგრილად შემომჩივლა, რომ შიმშილად მომეცდება, მთელი დღე ვტირილით. მართლაც რომ კაცი აქ დაკარგულად, კულტურულ ქვეყანას მოშორებულად უნდა გრძნობდეს თავს.

მიუხედავად სკოლის ამგვარ მდგომარეობისა, სოფლის პატარებს მრავლად მოუყრიათ თავი. სულ სკოლაში 56 ბავშვამდეა. ერთი ქალი ამდენ ბავშვს როგორ გაუძლებს და ამისათვის უნდა შეეძლოს, გადმოეცა მასწავლებელმა. 56 მოსწავლე ამ სკოლისათვის ბევრი, მხოლოდ სოფლისათვის კი ძლიერ ცოტა. შაშიანში 330 კომლი ითვლება და ერთი კი არა, ორი სხვა სკოლა უნდა იყოს ამ სოფელში, მაგრამ სხვას ვინა სჩივის, ნეტა ეს იყოს დაუცველი ისე, როგორც წესია და მასწავლებელსაც ხელი ჰქონდეს შეწყობილი.

შაშიანიდან გავეშურე ს. ურიათუბნისაკენ. ურიათუბანი შაშიანის გვერდზე მდებარეობს, ცხრა ოროვე ერთი სოფელი გეგონება, მხოლოდ პატარა ხევი ჰყოფს. ეს სოფელი უდიდესია ქვემო მხარეს, 500 კომლზე მეტი ითვლება იქ, მცხოვრებნი შეძლებულნი არიან, სახლ-მიდამოც უკეთესი ჰქონთ და ბაზარიც დიდი და კარგია. ურიათუბანში სამინისტრო სკოლაა. მასწავლებლად ნაცნობი ქალი აღმოჩნდა. სკოლის შენობა მოზრდილი და კარგნაირი ოთახებისა, რამდენიმე ოთახს შეიცავს და სუფთად მოწყობილია. ერთში კლასია მოთავსებული. მასწავლებელიც იქვე სცხოვრობს. სამოცამდე მოსწავლე სუფთად და ლამაზად იყო ჩაცმული. მოსწავლეთა შორის ბევრი ღარიბია თურმე, მაგრამ მოატანს თუ არა სწავლის დრო, მიდიან საუფლისწულო მამულში, მუშაობენ ვიდრე ამდენს შეაგროვებენ, რომ საწავლო ნივთები იყიდონ, ზოგმა ტანისამოსიც. მთხოვნელი კიდევ ბევრია, მიამბო მასწავლებელმა, მაგრამ უადგილობისა გამო უარს ვეუბნებით. ამ სოფელშივე ყოფილა სამრევლო სკოლა, მაგრამ ეს მეორე თუ მესამე წელია დაუკეტნიათ. სწორედ გაუგებარია, გადართვების მაგიერ ჰკეტავენ, მერე იქ, სადაც ისეთი წყურვილია, რომ პატარა ბავშვები თვითონ წვავენ წიგნის ფულის საშოვნელად. დაუკეტიათ კიდევ იმისთვის, რომ სოფელს ახალი შენობა არ აუგია. ან ვინ, რამდენად მართალია, მხოლოდ სკოლისთვის შენობა არის, სადაც წინად იყო სკოლა მოთავსებული. მართალია, ცოტა შეუფერებელია, მაგრამ რომ შეეკეთებინათ, თავისუფლად შეიძლებოდა მეცადინეობა. ან ნუ თუ სოფელი, კარგად რომ ჩაუკვირდებოდნენ, დაიშურებდა შეკეთებას?

საზოგადოდ, მთელ კახეთში დიდი წყურვილია სწავლისა. მარტო ბავშვებს კი არა, დიდებსაც უნდათ სწავლა. საკვირაო სკოლები დიდ სარგებლობას მოიტანდნენ, მაგრამ მთელ კახეთის სკოლებში ერთი იშვიათად არსებობს საკვირაო სკოლა. შაშიანის მღვდელმა მ. ას თინამ შემომჩივლა, საკვირაო სკოლის ნება რთუ ვითხოვე, მაგრამ პასუხიც არ მაღირსეს.

**დაკვირვებული.**

**ბათუმი.** შობა ღამეს ბათუმის განაპირას ერთ ღარიბ მუშის სახლში (გვარად ტიტიუშინის) შემდეგი ამბავი მოხდა: შობის დასახვედრად ცოლს და ქმარს უყიდიათ არაყი, შვიდ ნახევარი ბოთლი და ერთის სტუმრის თანადასწრებით უსვამთ. ძალზე მეზარ. ხაშებულები დაწოლილან. მეორე დღეს ქმარს გამოუღვიძნია და ცოლისთვისაც დევიძება დაუწყია, მაგრამ იგი უკვე გაცივებული მკვდარი დახვედრია. საავადმყოფოში ქმრმა გასჩრა და ნახა, რომ მეტის არყის სმისაგან შიგნეულობა მთლად დასწვია.

**ტრ. მესხელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**გორი.** 26 დეკემბერს გორის სცენის მოყვარეებმა გამართეს ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საიუბილეო წარმოდგენა თვით იუბილიარის მონაწილეობით. წარმოადგინეს ა. ცაგარლის პიესა „ხანუმა“. როგორც მოსალოდნელიც იყო, ხალხი ბლომად დაესწრო. ყველა ბილეთი გაიყიდა. წარმოდგენას დაესწრო უფრო დემოკრატიული ნაწილი — მუშები, წვრილი ვაჭრები და აგრეთვე მოსწავლენი და ინტელიგენცია. კიდევ მეტი დაესწრებოდა, რომ სათეატრო დარბაზს დაეტია და ბილეთების ფასი ნაკლები ყოფილიყო.

პირველად გაიმართა წარმოდგენა. საერთოდ წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. სწორედ გითხრათ, ძნელია თამაში და ფრთის გაშლა ისეთ პატარა სცენაზე, როგორიც გორისაა. თავგი კუდს ვერ მოიქნევს. ეს ძლიერ უშლიდა ხელს იუბილიარსაც და სხვა მოთამაშეებსაც, გორის სცენის მოყვარეებს. ქ-ნი ჩერქეზიშვილისა და ბ-ნი გოცირიძე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ. ადგილობრივ მოთამაშეთაგან კარგები იყვნენ ზაალ მაჩაბელი, ანტონ კასრაძე და ა. ერისთავი. დანარჩენთ უფერულ თამაშთან ერთად როლებიც არ იცოდნენ... ხალხმა რამდენჯერმე გამოიწვია იუბილიარი, ჩერქეზიშვილი, გოცირიძე და ზ. მაჩაბელი.

შემდეგ მილოცვა გაიმართა. სცენა კოხტად მორთოდ ხალიჩებით და საფენებით. მოთამაშენი და მომღერალნი გამწკრივებულიყვნენ ნახევარ რგვლივ, შუაზე სავარძელი იდგა ნ. გაბუნიასთვის. ქართულ... ბულმა სცენის მოღვაწემ გამოიყვანა იუბილიარი. გაისმა ტაში სცენასა და პარტერში, იმღერა მომღერალთა გუნდმა.

პირველად მიულოცა ზაალ მაჩაბელმა. რომელმაც აღნიშნა — „ბედნიერი ვარ, რომ ქართულ თეატრის ამ ობოლ მარგალიტის აღმოჩენაში მეც მონაწილეობა მიმიძღვის“. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა და დაფნის გვირგვინი მიართვა იუბილიარს დ. მაჭავარიანმა. თავის სიტყვაში აღნიშნა, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ნ. გაბუნია-ცაგარლისას სამშობლოსა და თეატრის წინაშე. ქართველ ხალხის გამოფხიზლების საქმეს თეატრმა სამსახური გაუწია და ნ. გაბუნიასაც დიდი როლი უთამაშნია ამ მხრივაო. პოეტმა თედო რაზიკაშვილმა წაიკითხა თავისი ლექსი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და ხანგრძლივი ტაშიც გამოიწვია. მომღერალთა გუნდმა რამდენიმე ნომერი შეასრულა ბ-ნ გ. ონიაშვილის ლოტბარობით. წარმოდგენაზე არა ნაკლები შთაბეჭდილება ამ ქართულ სიმღერებმა იქონიეს. გ. ონიაშვილმა ახალგაზრდა ლოტბარია, ეტყობა შესაფერი ცოდნაც აქვს და თუ მოისურვებს, შეუძლიან გარეშე მუდმივი ხორო შეადგინოს. მომღერლებს ბევრს იშოვნის. ლოტბარი გოგლიჩიძეც რომ დაიხმაროს, კარგი ხორო შესდგება.

წარმოდგენისა და მილოცვების შემდეგ გორის საზოგადოება ვახშმით გაუმასპინძლდა ქ-ნ ნ. გაბუნიას.

საღამოს შემოსავალი გადაეცა იუბილიარს.

**მგზავრი.**

# ოსმალეთი

**ოსმალელ დიპლომატის ნაამბობი.**

ერთ ოსმალელ დიპლომატს ბერლინში ბევრი რამ საინტერესო უამბნია „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის შესახებ.

დიპლომატს უთქვამს: კომიტეტის წევრებში ზოგი რუსეთის მომხრეა, ზოგი გერმანიისა. რუსეთის მომხრეები, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ კომიტეტში, ცდილობენ ბალკანეთის ფედერაციის დაარსებას და რუსეთთან დაახლოვებას. გერმანიის მომხრეები, რომლებიც გაცილებით მეტნი და ძლიერნი არიან, მოითხოვენ კავშირს გერმანიასთან და ავსტრიასთან.

ნავლობაში ახალ წევრების ჩარიცხვა-მიღება. ამიტომ თავის თავად ცხადია, რომ მხოლოდ კარგ დამფუძნებელ წევრთა წყალობით მოიმაგრებს ფეხს ამხანაგობა, გაიმართება, მოიპოვებს ხალხის ნდობას, რომელიც უფრო სურვილით მიიტანს ანაბარს და წევრებადაც ჩაეწერება. პირიქით, უხეირო დამფუძნებელ წევრთა მეოხებით შეიძლება სულ ჩაიფუშოს საქმე, და დიდი ხნით გაუტეხოს ხალხს ნდობა საკრედიტო ამხანაგობის დამფუძნებელთადმი.

ამისთანა საქმეში დიდი სიფრთხილეა საჭირო. ამხანაგობაში არამც და არამც არ უნდა გააჭაჭანონ ადგილობრივი მევახშენი, რომელთათვისაც ამხანაგობა ჭირია, მტერია. ამხანაგობის წყალობით ადგილობრივი მევახშენი ძალიან ზარალობენ, რადგან ღარიბი ხალხი მათ აღარ მიადგება ფულის სათხოვნელად.

ამხანაგობა საჭიროა ისევ შეძლებულ და საშუალო შეძლების გლეხთათვის, და ამიტომაც მათი წრიდანაა საჭირო დამფუძნებელ წევრთა დახმარება. ამისთანა დამფუძნებელნი უფრო მალე მიჰხვდებიან და დააფასებენ, თუ რამდენად სასარგებლოა მათთვის საკრედიტო ამხანაგობა, გულის-ყურით მოეკიდებიან საქმეს, თვალ-ყურს ადევნებენ ამხანაგობას, რადგან იგი მათთვის ძალიან საჭიროა. ამხანაგობა მხოლოდ მაშინ შევა წარმატებაში, მაშინ მოიმაგრებს ფეხს, როცა წევრებს შეგნებული ექნებათ მისი სარგებლობა, ექნებათ მისი ინტერესი. სწორედ მაშინ მოაგვარებენ წევრები საქმეს ისე, რომ მან სარგებლობა მოუტანოს მათ.

არის კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელიც ამხანაგობის დამფუძნებელთ დიდ საგონებელში აგდებს, მაგ., წევრთა პასუხისმგებლობა ამხანაგობისაგან ნასესხებ ფულისათვის, შესაფერ ადგილის მონახვა ფულის შესანახად. ძნელია გამგეობისათვის შესაფერი კაცების შოვნა, ძნელია კარგ და პატიოსანი მოანგარიშის გამონახვა.

ამხანაგობას აქვს ძირითადი და საწარმოვო თანხები. ძირითად თანხას ამხანაგობა ჩვეულებრივ სესხულობს რამდენიმე წლის ვადით სახელმწიფო ბანკში, სოფლის საზოგადოებათა და კერძო პირთაგან*) (ხანდისხან ისეთ ხელსაყრელ პირობებით, რომ ამხანაგობა ამ ნასესხებ ფულით*) მუშაობს, სანამ არსებობს. სახელმწიფო ბანკი სესხში იღებს სარგებელს წელიწადში ათ თუმანზე ექვს მანეთს.**) ამხანაგობას ეს ძირითადი თანხა ჩვეულებრივ არა ჰყოფნის წევრებზე სესხის გასაცემად, რადგან გაჭირვებულთა რიცხვი მეტია და ამიტომ იღებს ანაბარს (ანაბარი ჰქვიან ამხანაგობაში შესანახად მიბარებულ ფულს. ანაბარში ამხანაგობა სარგებელს აძლევს პატრონს). სხვა და სხვა ვადიან ანაბარის სარგებელს ნიშნავს წევრთა საზოგადო ყრილობა, სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთაგან. სესხულობს ფულის თანახმად საკრედიტო ამხანაგობის წესდებისა, ანაბარის და სესხების ჯამი, ე. ი. რაც შეადგენს საწარმოვო თანხას, არ უნდა აღემატებოდეს გაათკეცებულ ძირითად თანხას (შეიძლება აღემატებოდეს მხოლოდ ათჯერ ძირითად თანხას). ამხანაგობას ყველა ამ თანხების საწარმოოდ ხმარობს, ე. ი. სესხის გასაცემად და აი ამ გამსესხებელ ფულის პასუხისმგებლობა ეკისრებათ წევრებს, ე. ი. ამხანაგობაზე გასესხებულ ფულის ასანაზღაურებლად, ფულის პატრონს შეუძლიან წევრებს ქონება აუწეროს და გაუყიდოს, თუ ამხანაგობამ დროზე არ გადაიხადა ვალი.

აი, სწორედ ამისა ეშინიან ზოგს. ბევრს ეს აფრთხობს. მაგრამ ამის შიში მხოლოდ იმასა ჰმოწმობს, რომ კაცს თავის თავის იმედი არა აქვს, ამხანაგობა ხომ თვით წევრთა ხელშია; ხომ ისინი განაგებენ ამხანაგობას და ამიტომ სწორედ მათზეა დამოკიდებული საქმის ისე მოგვარება, რომ ამხანაგობას ზარალი არ მოუვიდეს. გაცემულ სესხის სარგებელს და მიღებულ ანაბარის სარგებელს, თვითონ ამხანაგობის წევრნი ნიშნავენ, ამხანაგობის საწარმოოდ, გასაძლიერებლად საჭირო ხარჯის რაოდენობას (მოანგარიშის და ზოგჯერ გამგეობის წევრთა ჯამაგირი, სადგომის ქირა, მიწერ-მოწერის ხარჯი და სხვა) ხომ თვითონ წევრები ამტკიცებენ. მაშასადამე, თვით მათზეა დამოკიდებული საქმის ისე მოგვარება, რომ ხარჯი მოჰარბებით დაიფაროს შემოსავლით, რომელიც ამხანაგობას აქვს ამის წყალობით, რომ გაცემულ სესხში ერთმევს უფრო მეტს სარგებელს (8—10%), ვიდრე თითონ აძლევს ნასესხებ ფულსა და ანაბარში.

ყოველ წევრს, რომელიც კი რამე უწესობა-ურიგობას შენიშნავს ამხანაგობის მართვა-გამგეობაში, წარმოებაში, შეუძლიან ეს მოახსენოს მეთვალ-ყურე საბჭოს ან წევრთა საერთო ყრილობას და ამრიგად ამხანაგობას შეცდომა ააცილოს. საკრედიტო ამხანაგობა სასოფლო-კასსა ხომ არ არის, რომ მამასახლისი ბატონობდეს.

ჩვენში უკვე არსებობენ საკრედიტო ამხანაგობანი. მაგ. ქუთაისის გუბერნიაში ითვლებოდა 1907 წელს 33 საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ხოლო შარშან ტფილისის გუბერნიაში დაარსდა ათამდე საკრედიტო ამხანაგობა. ყველა არსებული ამხანაგობა კარგა მუშაობს და სხვა-ფრივ შეუძლებელიცაა, რადგან ამხანაგობის ბატონ-პატრონნი მისივე წევრნი არიან, რომელთათვისაც ამხანაგობის წარმატება საჭირო და სასურველია.

ზოგჯერ აგრეთვე ამხანაგობის დაარსებისას გაიგონებთ ჩივილს, რომ სოფლად ძვირად მოიპოვება წერა-კითხვის მცოდნე და პატიოსანი კაცი გამგეობაში ასარჩევადაო. ეს გოდება საყურადღებოა, რადგან აუცილებლად საჭიროა, რომ გამგეობის წევრებმა იცოდნენ წერა-კითხვა. პატიოსანი კაცი კი სოფლად ბლომად არის, ოღონდ ითავოს ვინმემ საქმის დაწყება, თორემ საჭირო ხალხი მუდამ გამოჩნდება. ასე იმიტომ ჰფიქრობენ, რომ უნდოთ უცქერიან ერთმანეთს. თუ მაინცა და მაინც წევრები სავსებით ვერ ენდობიან გამგეობას, ამხანაგობას ხომ ჰყავს მეთვალ-ყურე საბჭო, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს გამგეობას. ამას გარდა, თვითეულ წევრს შეუძლიან თვალ-ყურის გდება და ურიგო საქმის გამომჟღავნება წევრთა საერთო ყრილობაზე.

ამხანაგობის დამფუძნებელთ ხშირად ისიც აფიქრებს, თუ სად შეინახოს ამხანაგობამ ფული. ეს საკითხი დიდმნიშვნელოვანად მიაჩნიათ. ჰგონიათ, რომ აქაო და „ხაზინააო“, ამიტომ ფული ტომრებით უნდა ეწყოს ამხანაგობას თავის ზანდუკებში. ეს ხომ შეცდომაა. ამხანაგობის კასსაში მუდამ უნდა მოიპოვებოდეს მცირეოდენი ფული, რათა თუ ამხანაგს უეცრად დასჭირდა ფული, ხელადვე შეიძლებოდეს საჭირო თანხის მიცემა. ხოლო ვისაც იმედი აქვს, რომ კასსაში მუდამ ბლომად იქნება თავისუფალი ფული, უმჯობესია ხელი აიღოს ამხანაგობის დაარსებაზე. საქმე ფუჭად ჩაივლის, თუ ფული ამხანაგობაში უმოძრაოდ იქნება, არ დატრიალდება და მოგებას არ მოიკემა. ამისთანა ამბავი შეუძლებელიცაა! ჩვეულებრივ ფული ამხანაგობიდან ძალიან გააქვთ წევრებს, ისე რომ ძვირად ნახავთ ბლომა ფულს ამხანაგობაში. მისი შენახვა შეუძლიან ამხანაგობის ხაზინადარს (კასსას მუდამ ორი სხვა და სხვა ნაირი კლიტე-გასაღები აქვს, ერთი გამგეობის წევრსა აქვს მეორე კი ხაზინადარს), თუ რაიმე მიზეზისა გამო სოფლად არ მოიპოვება უფრო შესაფერი დაწესებულება ან ვინმე სანდო კაცი, რომელსაც შეიძლება ფულის შენახვა მიენდოს. უფრო ძნელია ხეირიან მოანგარიშის შოვნა სოფლად რადგან რიგიან ანგარიშის წარმოება ძალიან საჭიროა. უცოდინარ ან უპატრონო მოანგარიშეს ადვილად შეუძლიან ანგარიშის არევ-დარევა. უმეტესს წილად მოანგარიშეობას ეწევიან სოფლის მასწავლებელნი ანდა წერა-კითხვის მცოდნე გლეხები.

როცა ამხანაგობას აარსებენ, დამფუძნებელმა წევრებმა უნდა ჩაინიშნონ მის წესდებაში, თუ რომელ ადგილისთვის აარსებენ ამხანაგობას, ე. ი. ამხანაგობის წევრობა ვის შეუძლიან: ერთისა თუ რამდენიმე ახლო-მახლო მდებარე სოფლის მცხოვრებთ (ანაბარის მიღება შეიძლება უცხოთაგანაც, არა წევრთაგანაც). ამხანაგობას შეუძლიან მიიღოს წევრებად მხოლოდ წესდებაში ჩანიშნულ სოფლების მცხოვრებნი. ამხანაგობის სამოქმედო რაიონში მცხოვრებთაგან წევრებად მიიღებიან განურჩევლად წოდებისა ეროვნებისა და სქესისა, ყველა სრულ წლოვანნი, რომელთაც კი შეუძლიან სურვილისამებრ მოიხმაროს თავისი ქონება და საკუთარი გაწყობილი მეურნეობა — წარმოება ან ხელობა რამე აქვს (მაგ. მეჩექმე, მჭედელი, დურგალ-კალატოზი და სხვა). ამხანაგობის წევრობა არ შეუძლიანთ: ვინც უკვე წევრია ამგვარ ამხანაგობის ან გამოძევებულ, დათხოვნილია რომელიმე ამხანაგობიდან. ამ რიგად, დამფუძნებელ წევრებმა თავიდანვე უნდა გადასწყვიტონ, რამდენ სოფლისათვის აარსებენ ამხანაგობას. ამის გადაწყვეტა სხვა და სხვა მოსაზრებაზეა დამოკიდებული. ერთისა ან ორის ახლო-მახლო მდებარე სოფლისათვის გამართული ამხანაგობა მით არის კარგი, რომ მისმა წევრებმა ერთმანეთის ამბავი ზედმიწევნით იციან; იციან, ვისი ჩარიცხვა შეიძლება ამხანაგობაში და ვისი არა, ვისზე რაოდენი სესხის გაცემა შეიძლება (სესხი გაიცემა იმისდა მიხედვით, თუ რა კაცია მთხოვნელი, და რა საქმეზე ითხოვს ფულს). პატარა ამხანაგობაში მონაწილეობაც უფრო ეხერხებათ წევრებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ამხანაგობაში ვერ დაგროვდება დიდი თანხა, ამხანაგობა დიდ ფულს ვერ აწარმოებს; ამხ...

*) ამ ნასესხებ ფულში ამხანაგობა, რასაკვირველია სარგებელს იხდის.

**) ზოგიერთებს იქნება ბევრი ეგონოს ეს. ჩვენში არსებული სარგებელი (თვეში თუმანზე ათი შაური ჩვეულებრივია ხოლმე) წელიწადში ათ თუმანზე დაიჭერს ექვს თუმანს.

ოსმალეთის ფინანსთა მინისტრი ჯავიდ-ბეი შემცირებისათვის თხოვნით წავიდა ბოლგარიაში იმის გასაგებად, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაციის დაარსება.

რუსეთის ელჩის ჩარიკოვის მოქმედება სტამბოლში ძლიერ აფიქრებს გერმანიისა და ავსტრიის დიპლომატიას, რომელიც მეცადინეობს ახალი სამთა კავშირის დაარსებას (გერმანია, ავსტრია და ოსმალეთი).

დიდ ვეზირის გამოცვლა სრულებით არ იმოქმედებს ოსმალეთის გარეშე პოლიტიკაზე. ახალი დიდი ვეზირი ხაკი-ბეი იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს. გერმანული პრესა ხმას ავრცელებს, რომ ხაკი ბეი გერმანიას თანაუგრძნობსო; უნდა შევნიშნო, რომ გერმანელები მეტად აზვიადებენ ამ თანაგრძნობას.

ოსმალეთ-ბოლგარიის უთანხმოება ზოგიერთ საქმეში წარმოადგენს გერმანიის და ავსტრიის ინტრიგების შედეგს. ეს ორი სახელმწიფო ძლიერ სცდილობს ოსმალეთის გადაკიდებას ბალკანეთის სახელმწიფოებთან. გერმანიის ელჩი ბუხარესტში, რუმინიის სატახტო ქალაქში,—დიდ აგიტაციას ეწევა ბალკანეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

ოსმალელ დიპლომატს ძლიერ აოცებს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის იზვოლსკისა და რუსულ პრესის გულგრილობა ბალკანეთის საქმეებისადმი, რადგან მისი აზრით, რუსეთი მარჯვე დროს ჰკარგავს: ბეჯითად რომ მოიქცეს, მას შეუძლიან თავისი სახელი აღადგინოს ახლო აღმოსავლეთში და ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაციის შემწეობით შეაყენოს გერმანიის და ავსტრიის მსვლელობა ბალკანეთისკენ.

**კრიტის საქმე.**

კუნძულ კრიტიდან ხელახლად საშიში ცნობები მოდის. გაზეთები იუწყებიან: კრიტის დეპუტატთა პალატამ ფიცი მიიღო საბერძნეთის მეფის ერთგულებაზე და დაადგინა საბერძნეთის კანონები შემოვიღოთ კუნძულზედაცო. კრიტელები იარაღს ისხმენო. რაღა თქმა უნდა, ოსმალეთის მთავრობაც არა ზის გულხელდაკრეფილი და თავის მხრივ ემზადება პასუხის გასაცემად. იგი გაჩქარებით ჰგზავნის ჯარს საბერძნეთის საზღვარზეო.

# რუსეთი

**✦ მოსაზღვრე ჯარის მოქმედება.** მოსაზღვრე ჯარის უფროსმა სახელმწიფო სათათბიროს საბიუჯეტო კომისიისთვის წარუდგენია ანგარიში მოსაზღვრე ჯარის მოქმედების შესახებ. 1908 წელს მოსაზღვრე ჯარს დაუჭერია 6,172 კონტრაბანდისტი და კონფისკაცია უქნია 29,570 მანეთის საქონლისათვის.

**✦ ნაფიც-მსაჯულობაზე უარის თქმა.** „რუსკ. ვედ." ი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: ამა წლის სექტემბერში იამბურგში ოლქის სასამართლოში ნაფიც-მსაჯულად დანიშნეს ვინმე გრიგორიევი. სასამართლოს სხდომის გახსნის წინ გრიგორიევმა სიტყვა ითხოვა, რაზედაც თავმჯდომარემ ნება დართო. გრიგორიევმა სთქვა: ჩემი მოყვასის გასამართლებაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, რადგან ეს ხელს შეუშლის ჩემ ზნეობრივ განახლებას და თვით-განვითარებას. რომ ჩემი სიტყვები უსაბუთოდ არ მოგეჩვენოთ, ამიტომ მოვიყვან იესო ქრისტეს სიტყვებს: „მოყვასს ნუ გაასამართლებთ"-ო. პროკურორმა ამაზე განაცხადა, რადგანაც გრიგორიევი უარს ამბობს თანამდებობისასრულებაზედ, გრიგორიევი ისე ჩავთვალოთ, ვითომ არ გამოცხადებულიყოსო. ამაზე გრიგორიევმა უპასუხა: პროკურორს ვერ დავეთანხმები, მე სასამართლოში ვარ, მაგრამ უარს ვამბობ მოყვასის გასამართლებაზეო. სასამართლომ გრიგორიევი 10 მანეთით დააჯარიმა. 21 ნოემბერს გრიგორიევმა პროკურორისაგან მიიღო მოწერილობა 10 მანეთის გადახდის შესახებ. გრიგორიევმა ეს ქაღალდი პროკურორს უკან დაუბრუნა და ზედ წააწერა: „გასრულებო იესო ქრისტეს მოძღვრებას, არც არავის სასამართლოში უჩივლებ და არც არავის გავასამართლებ. ჯ რიმას იამბურგის ხაზინაში შევიტანო".

**✦ პეტერბურგის უნივერსიტეტში.** როგორც მკითხველს მოეხსენება, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი და პრორექტორი გადადგნენ. სატახტო ქალაქის გაზეთების კორესპონდენტებს უნახავთ უნივერსიტეტის გადამდგარი რექტორი და პრორექტორი და შეჰკითხებიან, თუ რა იყო მიზეზი, რომ მათ ესე მოულოდნელად მიანებეს თავი თავიანთ თანამდებობას. როგორც რექტორს, ისე პრორექტორს კორესპონდენტებისთვის უთქვამთ: საერო განათლების სამინისტრომ ისეთი ატმოსფერა შეჰქმნა, რომ ყოვლად შეუძლებელია მუშაობა. ჩვენი მუშაობა შესაფერ ნაყოფს ვერ მოიტანდა და ჩვენ გადადგომა ვარჩიეთ.

# უცხოეთი

**კლემანსოს გასვლა რადიკალურ პარტიიდან.**

საფრანგეთის პირველ მინისტრად ნამყოფმა ჟორჟ კლემანსომ წერილით შეატყობინა რადიკალურ და რადიკალ სოციალისტურ პარტიებს ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეს ვალდეს (იუსტიციის მინისტრად იყო კომბის სამინისტროში), რომ იგი გადის რადიკალურ პარტიიდან. კლემანსო თავის გადაწყვეტილებას მით ასაბუთებს, რომ რადიკალთა პარტიამ ამას წინად ქალ. ტულონში მუნიციპალურ არჩევნების დროს ოფიციალურად მხარი დაუჭირა შეერთებულ სოციალისტების კანდიდატს წინააღმდეგ რადიკალურისა და ზომიერების კანდიდატისათა. მართალია, ამ არჩევნებში სოციალისტები დამარცხდნენო, მაგრამ კლემანსო მაინც აღნიშნავს, რომ მას პრინციპიალურის მოსაზრებით დიდ მეტადმეტად მიაჩნია რადიკალების ასეთი ტაქტიკა.

რადიკალურ პარტიის კომიტეტი ძლიერ გააჯავრა კლემანსოს ასეთმა განცხადებამ, რადიკალთა წრეები შენიშნავენ, რომ კლემანსო სწორედ საზოგადო არჩევნების წინა დღეს (საფრანგეთში მომავალ გაზაფხულზე მოხდება საზოგადო არჩევნები) შეიტანა თავისი განცხადება, იმასაც კი არ მოერიდა, რომ მისმა განცხადებამ შეიძლება განხეთქილება შეიტანოს რადიკალ ამომრჩევლებში და ცუდი გავლენა იქონიოს რადიკალურ პარტიის ბედზეო.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტმა კლემანსოს წერილის პასუხად გამოაცხადა, რომ პარტიის მოქმედება მუნიციპალურ არჩევნების დროს ტულონში უნაკლულო იყოო. ტულონელმა რადიკალებმა მხოლოდ იმ მიზეზით დაუჭირეს მხარი სოციალისტების კანდიდატს, რომ ტულონის არჩევნებში ერთმანეთს ებრძოდა ორი კანდიდატი: ერთი სოციალისტი იყო, მეორე ცრუ რესპუბლიკელი, რომელსაც მფარველობას უწევდა კლერიკალების „ორგანიზაცია", ხოლო კლერიკალების გამარჯვება კი აუცილებლად საშიში იყო, რადგან ბოლოს დროს მუნიციპალურსა, თუ საზოგადო არჩევნების დროს კლერიკალები ხშირად იკეთებენ ლიბერალურ ნიღაბს და ლიბერალურ პარტიად ქვეშ მოქმედებენო.

რესპუბლიკელთა პრესა ჰფიქრობს, რომ მომავალ არჩევნებში დიდ როლს ითამაშებენ პირველ მინისტრებად ნამყოფები: კომბი და კლემანსო. კომბი წინანდებურად მოითხოვს ყველა მემარცხენე პარტიის ერთსულოვან მოქმედებას და წინანდებურად იმ აზრისაა, რომ რადიკალების მარცხნიდან მტერი არა ჰყავთ: იგი აგიტაციას უწევს, რომ რადიკალებმა მომავალ არჩევნების დროს კავშირი შეკრან სოციალისტებთან. კლემანსო გადაჭრით აცხადებს, რომ რადიკალებმა ცალკე უნდა იმოქმედონ და სოციალისტებთან კავშირს უნდა მოერიდნენ, რადგან მისი აზრით, თვით ჟორესის მომხრე სოციალისტებთან კავშირიც-კი ბოროტებას წარმოადგენს, თუმცა, რასაკვირველია, ნაკლებ ბოროტებას, ვიდრე კავშირი ჰერვეს მომხრეებთანაო.

კონსერვატიული პრესა ადასტურებს კლემანსოს განცხადებით. იგი იმედოვნებს, რომ რადიკალურ პარტიაში დიდი განხეთქილება მოხდებაო.

## წერილი რედ. მიმართ

„სორაპანი"-ს გამომცემელმა ამხანაგობამ პეტერბურგის ქართულ სამეცნიერო წრეს შესწირა შემდეგი საკუთარი გამოცემანი: „ცრემლები", ვ ჟ. ფშაველასი, „გაყრა" გ. ერისთავისა, „გურული სცენები და მონოლოგები" ვასო ურუშაძისა; „არსენას ლექსი" „ახალი ჩანგი" და მოლიერის „დრამატიული თხზულებანი"; რაზედაც წრე დიდ მადლობას უძღვნის.

**ქართ. სამეცნიერო წრე.**

ნაგობა მიიღებს ნაკლებ მოგებას და შეიძლება აუცილებელ ხარჯის გასტუმრებაც გაუჭირდეს. არც ძალიან დიდი ამხანაგობა არის კარგი: ამხანაგობასთან წევრებს ისეთი ცხოველი კავშირი აღარა აქვთ, ბევრი მათგან ისე უცქერის ამხანაგობას, თითქოს ეს მისთვის უცხო რამ „ხაზინა-ბანკი" იყოს, რომლიდანაც ოღონდ კი ფული გამოიტანოს, დანარჩენი არაფერი ეკითხება, ამხანაგობის ბედ-იღბალი მას სრულიად არ აინტერესებს. ახალ წევრთა ჩარიცხვაც ძნელია დიდ ამხანაგობაში, რადგან არ შეიძლება დანამდვილებით იმისი გაგება, თუ რა კაცია ყველა მცხოვრები ამხანაგობის სამოქმედო რაიონში. გამგეობასაც უჭირს მალე შეტყობა-გაგება, თუ რა ნდობის ღირსია ეს კაცი, რანაირია თვითონ და სხვა. გამოცდილებამ გამოარკვია, რომ უკეთესია ამხანაგობაში ირიცხებოდეს არა უმეტეს 500—600 კომლისა, ისიც ახლო-მახლო მცხოვრებისა. ამისთანა სამოქმედო რაიონზე გამართულ ამხანაგობაში შესაძლებელია იმოდენა თანხა დატრიალდეს, რომ მოგებიდან საჭირო ხარჯსაც გაუძლოს, და საკუთარ თანხების შესადგენადაც გადასდოს ცოტაოდენი.

ამხანაგობის დამაარსებელთ უნდა იფიქრონ აგრეთვე იმის ძირითად თანხის რაოდენობაზე, რადგან თანახმად წესდებისა, ამხანაგობის საწარმოვო თანხა (ანაბარი და ნასესხები ფული) არ უნდა იყოს ძირითად თანხაზე ათჯერ მეტი. თუ, მაგალითად, ამხანაგობის ძირითადი თანხა ასი თუმანია, ამხანაგობას შეუძლიან მიიღოს ანაბარი და ისესხოს მხოლოდ ათასი თუმანი; როცა ძირითადი თანხა მცირეა, ხოლო ამხანაგობის საქმე გაჩარხულია, სესხს ბევრნი თხოულობენ, ანაბარიც ბლომად მოაქვთ, შესაძლებელია იგი გაპირებაში ჩავარდეს, რადგან ანაბარის და ნასესხებ ფულის რაოდენობა უკვე მიაღწევს თავის საზღვარს, ხოლო ამხანაგობას მეტის მიღება აღარ შეეძლება. ამიტომაც თუ დამფუძნებელ წევრთ იმედი აქვთ, რომ ამხანაგობა მალე განავითარებს თავის მოქმედებას, გაიჩარხავს საქმეს, ფული ბლომად დატრიალდება, იმაზედაც უნდა იზრუნონ, რომ ძირითადი თანხა საკმაო იყოს, რათა ამხანაგობას არ მოუხდეს თავის მოღვაწეობის შეკვეცა, შევიწროება.

ძირითადი თანხა ამხანაგობას შეუძლიან ისესხოს სახელმწიფო ბანკიდან, რომელიც ჩვეულებრივ აძლევს თითო ამხანაგობას ას თუმანს (1000 მ.), და არა უმეტეს სამას თუმნისა. ამ სესხში სახელმწიფო ბანკი სარგებელს ართმევს თუმანზე თვეში ერთ შაურს; წელიწადში სამ აბაზს (ე. ი. ათ თუმანზე წელიწადში 6 მანეთს). ამ სესხს იძლევა გრძელის ვადით—ათის და მეტის წლითაც. ამას გარდა, ამხანაგობას შეუძლიან ძირითადი თანხა ისესხოს სოფლის საზოგადოებისა ან კერძო პირთაგან. ის კი უნდა ახსოვდეთ, რომ ძირითადი თანხა ამხანაგობისა ვალდებულებათა (ნასესხებ ფულის) ასანაზღაურებლადაა დანიშნული, ამიტომ რომელიმე ამხანაგობამ რომ შესწყვიტოს მოქმედება და გაუქმდეს, მან უწინარეს ყოვლისა უნდა დაუბრუნოს ანაბარი პატრონებს, დაუბრუნოს სხვა ნასესხები ფული, და ამ კერძო პირთ რომ გასწორდებს ანგარიშს, მხოლოდ მაშინ უბრუნებს ძირითად თანხას პატრონს.

დასასრულ, დამფუძნებელმა წევრებმა წესდებაში უნდა ჩანიშნონ ის უმაღლესი, უდიდესი თანხაც, რომლის მეტი თითოეულ წევრზე გასესხება არ შეიძლება, და თუ, წესდებაში აღნიშნულია ამისთანა საზღვარი, მაგ., ათი თუმანი, ამაზე მეტი წევრს არ შეუძლიან ისესხოს ამხანაგობისაგან.

**ე. კარბელაშვილი**

(დასასრული იქნება)

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირების გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალი, სა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღნინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—$1^{1}/_{2}$ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**საღამოთი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^{1}/_{2}$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

შედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(ჩ.—1—245)

**ექიმი** ე. ს. **ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავშ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—31)

იაფი შემოწმებული საათი

შეიძლება იყიდოთ მხოლოდ

**ა. გოლდშტეინთან**



ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ვერცხლის და ოქროს** ნივთები სულ იაფად. (10—ხალ.—2)

იანვრის პირველ რიცხვებში 1910 წ. ქალ. ბაქოში გამოვა ქართულ ენაზე ყოველ კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მარცვალი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 3 მ. 20 კ., ნახევარი წლით—1 მ. 70 კ., ცალკე ნომერი—5 კაპ.

ყოველგვარი წერილები და აგრეთვე ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Баку. Типографія, Эриванцевъ. Въ редак груз. газеты „Марцвали",

რედაქტორ-გამომცემელი **პ. გელოვანი.**

4—3

**სორაპანის ამხ. გამოცემა.**

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

მეოთხე წიგნზე

## ● განდეგილი ●

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივ ფორმატისა იქნება, 225 გვერ. და ხელის მომწერლებისათვის **ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანად.**

ავტორის სურათითა და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით

**გაუმჯობესებული იქნება**

ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს. წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის ხარჯები —40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვში.

ადრესი: Тиф., Т-ва «Сорацань». (10—5)

1910 წელს კვლავ გამოვა საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი 1910 წელს

## „ნაკადული"

(წელიწადი მეექვსე)

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. «ნაკადულის» რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე, 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში თავად-აზნაურების ქარვასლაში).

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1. „დედამიწა და ჯუდიანი ვარსკვლავი"—ზღაპარი ევალდისა; 2. „მარჯნები"—ზღაპარი ევალდისა; 3 „თორმეტი და"—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

რედაქტორი: **მარიამ ივანეს ასული დემურია** გამომცემელი: **თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

(6—4)

**1910 წლის 1 იანვრიდან**

**გამოვა ახალი კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო სათეატრო სურათებიანი ჟურნალი**

## თეატრი და ცხოვრება

**იუმორისტიულ განყოფილებით და კარიკატურებით.**

ჟურნალის მიზანია სათეატრო საკითხების გარკვევა-განხილვა. თეატრის წარსული და აწმყო, ისტორია დაიბეჭდება თეატრის შესახები წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრობები და სხ.

**ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:** მ. ადამაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ი. გრიშაშვილი, ვ. გუნია, პ. დადვანი, შ. დადიანი, ვ. აბაშიძე, დუტუ მეგრელი, გაგა-ფშაველა, მ. თოიძე (მხატვარი), გ. თუმანიშვილი, ირეთელი, კ. მესხი, ლ. მეტრეველი, ი. მჭედლიშვილი, ი. ნაკაშიძე, დ. ნაზღვრიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, ვ. ურუშაძე, ა. ყიფიანი, გ. შალიკაშვილი, ა. მანშიაშვილი, ო. შმერლინგი (მხატვარი) და სხვა ცნობილი მწერლები და მხატვარნი. კლიშეები მზადდება ქართველთა ამხ. **ცინკოგრაფიაში.**

წლიურად გაგზავნით დამატებებით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერის დროს 2 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან; ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драм. О-ва, Іос. Имедашвили. (4—4)

სამეურნეო ჟურნალი

## მოსავალი

◀ **წელიწადი მეორე** ▶

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის გაგზავნას უფასოდ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „МОСАВАЛИ".

კაზმული მწერლობა—მხატვრობა—მუსიკა—თეატრი.

## „ფასკუნჯი"

**სალიტერატურო—სამხატვრო ჟურნალი 1910 წლის**

იანვრიდან გამოვა თვეში ერთხელ თხუური ჟურნალის სახით.

„ფასკუნჯში" დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, პიესები; კრიტიკული და ისტორიული წერილები კაზმული მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის შესახებ: ხელოვნების ქრონიკა, და

◀ **სურათები** ▶

ფერადი და ფოტოტიპიური ერთფერი.

„ფასკუნჯი" განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხელოვნების ნამთებს.

გარდა ჟურნალისა ყოველ ხელის-მომწერს, რომელიც მთლად გადაიხდის წლიურ ფასს, საჩუქრად მიეცემა.

◀ **შოთა რუსთაველის** ▶

დიდი ფერადი სურათი (11—8 ვერშ. ზომით)

„ფასკუნჯში" მონაწილეობას იღებენ: აკაკი, კ. აბაშიძე, მ. არაგვისპირელი, გახდეგილი, ი. გომართელი, ი. ევდოშვილი, ან. ერისთავი-ხოშტარია, დუტუ-მეგრელი, ს. მგალობლიშვილი, დ. ლუკაშვილი, კ. მალაქიაშვილი, ნ. ლომაური, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ნიკოლაძე, თ. რაზიკაშვილი, გრ. რობაქიძე, ა. ხარაჯიშვილი, სიტყვა, ზ. ფალიაშვილი, ი. ფანცხავა, ალ. ხახანაშვილი, გ. შალიკაშვილი, ალ. მანშიაშვილი, ტ. შეყარდენაძე, კ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვ.

ჟურნალის სამეურნეო ნაწილის (ბეჭდვა, დასურათება და სხ.) გამგენი არიან: კ. მესხიშვილის ლიტოგრაფია და „სორაპანის" სტამბა.

ჟურნალის ფასი; წლით 5 მან., 6 თვით 3 მან. წლიური ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: თავში 2 მან., მაისში 2 მ. და სექტემბერში 1 მან.

ჟურნალი ნომრებით არ გაიყიდება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: კ. მესხიშვილთან, სორაპანის სტამბაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. პროვინციაში აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапани".

(6—5) რედაქტორ-გამომცემელი **ს. ფირცხალავა.**

Съ января 1910 г. въ С.-Петербургѣ начнетъ выходить еженедѣльн. журналъ

## „ЖИЗНЬ КАВКАЗА",

органъ печати научный, внѣпартійный прогрессивный, свободный отъ всякихъ національныхъ симпатій и антипатій

**Газета ставитъ себѣ цѣлью всестороннюю освѣдомленнось по всѣмъ вопросамъ Кавказа.**

**Годовая цѣна «Жизни Кавказа»:** 7 р., полуг. 4 руб Цѣна объявленій впер. текста: стран. большого формата 100 р., 1/2 стран.—60 р., 1/4 стр.—35 р., и позади текста: стран. 60 р., полстран.—35 р. и 1/4 стран.—20 р. Подписка на журналъ и объявленія принимаются или адресуются С.-Петербургъ, Главная Контора журнала „Жизнь Кавказа"—книжный магазинъ „Наша Жизнь" Литейный пр., 32.

(5—5) Редакторъ-издатель **А. Котельниковъ.**

## Открыта подписка на 1909/10 годъ

НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ

## НА КАВКАЗѢ

Ежемѣсячный журналъ исторіи, этнографіи и общественно экономической жизни Кавказскаго края; литературы, публицистики, науки и искусства.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА за 12 кн. 5 РУБЛ** от 6 до 10 лист. каждая; за 6 книгъ—3 руб. за 3 книги—1 р. 50 к.

ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ ФАКТИЧЕСКОЕ УЧАСТІЕ:

Петръ Авдѣенко, д-ръ полит. наукъ Вл. Ахметеловъ, С. И. Борчевскій проф. С. А. Венгеровъ, Д. Ведребисели, Б. М. Городецкій, М. Джанашвили, П. А. Зажаевъ, Е С. Канчеръ М П. Кожушко, Петръ Кузько, А. И. Литовкинъ, Г. М. Малышенко, Лук. Мельниковъ, проф. Всев. Θ. Миллеръ, П. В. Мироновъ, Нусэ, И. Θ. Пальмовъ, А. С. Пираловъ, Ник. Поярковъ, Н. А. Преображенскій, Г. А. Робинсонъ, А. Родной (Коростылевъ), А. М. Розовъ, Н. М. Рындинъ. П. А. Скачковъ. В В. Скиданъ, А. Т. Снарскій, Султанъ-Довлетъ-Гирей, Е. М. Тумановъ, С. Тимофеевъ проф. М. И. Туганъ-Барановскій, проф. А С Хахановъ, Г. М Цаголовъ, Ф А Щербина, С. П. Эйрановъ и др

Вышли 5 №№ журнала и продаются во всѣхъ книжныхъ магазинахъ Тифлиса, Баку, Елисаветополя, Кутаиса, Эривани и др.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ г. Екатеринодарѣ: въ конторѣ редакціи—Соборная, 50, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Тифлисѣ—въ книжномъ магазинѣ Хидекель, Центр. Книж торговлѣ и др.; во Владикавказѣ, Баку, Кутаисѣ и Ставрополѣ во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Петербургѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М. О. Вольфъ; въ Москвѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М. О. Вольфъ. (8—4)


სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე.